



საქართველოს ქვეყნობის 65

ბაზოლის 1992 წლის იანვრიდან

№18 (64), ივლისი 2017 წელი

ქორეოლოგია – ქორეოგრაფია – საზოგადოება

საუნივერსიტეტო რევიუ

საქართველოს ქვეყნობის 65

საქართველოს ქვეყნობის 65-ე წლისთავს უკავშირდება მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც განაპირობებდა ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას. ამასთანავე, აღსანიშნავია ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი, რომელიც დაიწყო 1990-იან წლებში და დასრულდა 1992 წელს. ამ პერიოდში ქვეყნის მთელი მოსახლეობა ერთმანეთს ემხრობოდა თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის.

საქართველოს ქვეყნობის 65-ე წლისთავს უკავშირდება მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც განაპირობებდა ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას. ამასთანავე, აღსანიშნავია ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი, რომელიც დაიწყო 1990-იან წლებში და დასრულდა 1992 წელს. ამ პერიოდში ქვეყნის მთელი მოსახლეობა ერთმანეთს ემხრობოდა თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის.



კოლხური სიბრძნითა და გაქანებით გამოჩენილი ვარსკვლავოსანი **გვ. 2**

გვ. 4 ვახუშტისა და სხვა
სქოლიო 65 წლისაა

გვ. 5 მუხომბახსა
და მასწავლებელს...

ილიკო
სუნიუვილის
სახელობის
სტუდია
გვ. 6

გვ. 5 პარტაღ
განსარჯული
სიტყვები

გვ. 8 ახმად
ამბალია
იუბილარია

ილიკო სუნიუვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდიის შექმნის სთავაზობა **გვ. 4**

კოლხური სიბრძნითა და გაქანებით გაომრეული პარსკლავოსანი



რედაქტორის გვერდი

ქართველი ერის ჭეშმარიტ მამას, სამშობლოს ბედზე მარად მოფიქრალ და მასზე მუხლჩაუხრელ და მზრუნველ დიდ ილია ჭავჭავაძეს ძალიან მოსწონდა გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის ლაიბნიცის ერთი აფორისტიული ფრაზა-“ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა. ალნიშნულ გამონათქვამს ერის მამა საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდა და მიიჩნევდა, რომ ყოველმა ადამიანმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს სად გაჩერდა მისი წინაპარი საქვეყნო საქმეების კეთებისას, რა საქმეები მოილია, რისი გაკეთება ვეღარ მოასწრო, რათა ზუსტად განსაზღვროს რა საზრუნავის რიგია მოსული პი-



რადად მისთვის თუ, საერთოდ თანამედროვეთათვის.

სამწუხაროდ, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ადამიანთა მოდემის უდიდესი ნაწილი არასოდეს უფიქრდება ისეთ საკითხებს, როგორცაა ცალკეულ ინდივიდთა ისტორიული მისია – რისთვის მოველინა ამქვეყნიერებას, რას ითხოვს მისგან უფალი და რა უნდა აკეთოს ყოველდღიურად. ბევრ მათგანს, ბუნებრივია, საერთოდ არ სმენია ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ცნობილი დიდი მოაზროვნის სოკრატეს ბაგეთაგან გაჟღერებული მოწოდება – „შეიცან თავი შენი“ და თუ კი, საერთოდ, რაიმეს ფიქრობს, დაახლოებით ისეთ განზომილებაში რჩება, როგორც კინოფილმ „ნატურის ხის“ ერთი უნიათო პერსონაჟი, ჩაძინებულს რომ მიუსწრებს გამეხებული ციციკორე – „ქვეყანას მაინც ვერ ავაშენებ და ძილი რაღად უნდა დავიკლოო.“

ჯერ კიდევ სამასიოდე წლის წინ, თვით განათლებულ ევროპაშიც კი ეგონათ, რომ მოზარდი ადამიანი დაბადებითვე არის „სუფთა დაფა“(ტაბულა რაზა-ჯონ ლოკი) და იგი სწორედ ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბდება, რასაც მის „გადასარკულ“ გონებაზე ცხოვრებისეული გამოცდილება განათლების გზით დაწერს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ადამიანი თურმე ბიო-სოციალური არსებაა და მას, იმთავითვე მოსდევს კაციბრიობის, მისი უშუალო წინაპრების, ჯიშის გენური მოცემულობები, მერე ამას ემატება სწავლა-ვარჯიშის, წვრთნა-აღზრდის გზით მიღებული გამოცდილება და ასე გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე...

გამორჩენილი ფრანგი პოეტი, პროფესიით მფრინავი ანტუან ეგზიუპერი ბრძანებდა: „ყოველი ადამიანი საკუთარი ბავშვობიდან მოდისო“. ალნიშნული გამონათქვამი ე. წ. „ფრთიანი ფრაზების“ კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა საინტერესოა კი განაწყობს დაინტერესებულ ადამიანს. უდავოდ სწორადაა მიგნებული, რომ ყოველ ინდივიდს თავის საკუთარი ბავშვობა აქვს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ

მოზარდი ადამიანის გენეტიკურ იერ-სახეში, მის ცნობიერებაში ის მონაცემთა ბაზაც კი ინახება ე. წ. კოლექტიური არაცნობიერის სახით, რომელიც მის უშუალო წინაპართაგან იყო დაგროვილი, როგორც მხოლოდ კონკრეტული ეთნოსის კონკრეტულ წარმომადგენელთა დამახასიათებელი თვისებრიობა. ყველაზე საინტერესო კი მაინც ის არის, რომ ის, რაც აქ ერთი ადამიანის, ცალკეული ინდივიდის შესახებ ითქვა, შეიძლება თამამად გაგვევრცელებინა მთლიანად კულტურის სფეროზე, მის მატერიალურ და სულიერ მდგენელებზე.

თუ ალნიშნულ დებულებას გავიზრებთ და მის ჭეშმარიტებასაც ვიწმუნებთ, მაშინ შეგვიძლია იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ყოველი ღირსსაცნობი თანამედროვე მოვლენა, გარკვეული აზრით, ყველა იმ პლასტს ინახავს, შეიცავს და ავლენს, რაც მოცემულ არეალში მონათესავე მიმართულებით გაკეთებულა, მომხდარა, ხდება და მომავალშიც არაერთგზის გამეორდება. ტრადიცია, ღირებულებითი ორიენტაციები, ცხოვრების წესი, სიხარულისა თუ მწუხარების იერ-სახე ერთ და ორ დღეში არ ყალიბდება. იგი საუკუნეების მანძილზე იქონება და სწორედ ისეთ სახეს იძენს, როგორც მას, მხოლოდ მოცემულ არეალში შეიძლება მოხდეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტრადიციების უკან ხალხი, ერი, ეთნოსი და რაღა თქმა უნდა, კონკრეტული ადამიანები დგანან. შეიძლება ერთგვარად ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველი ადამიანი, მით უფრო თავისი ღირსებებითა და საქმით გამოჩინებული წარმატებული პიროვნებები, ის უმდიდრესი სალაროა, რომელიც ერის კულტურული სახის შენახვა-შენარჩუნების სრულიად აუცილებელ პირობებს ავლენს და ამასთან ერთად ახალ რეალობას ქმნის. სწორედ ასეთ პიროვნებათა შორის დგას დღევანდელი ჩვენი იუბილარი, 65-ე წელს მიტანებული ინტელიგენტი-ქორეოგრაფი და აღმზრდელ-პედაგოგი, პატივცემული ახმედ ამბალია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა სხვა სიკეთის გვირგვინად, დღეიდან მისი სახელობითი ვარსკვლავი იქცევა.

ბატონი ახმედი ქართული ქორეოგრაფიული სამყაროს, კოლხურ-ლაზური ფრთის, მისი

მეგრული განშტოების ტიპური წარმომადგენელია. სწორედ ამ სივრცეში აიღვა მან ფეხი, აქ შეიგრძნო ქართული ცეკვის სურნელი, აუცილებელი პროფესიული განათლება ტრადიციე-



ბით მდიდარ აჭარის ქორეოსკოლაში მიიღო და ამ დღიდან მოყოლებული, ერთი დღითაც კი არ მიუტოვებია სცენა, ბავშვები, მონაფეხები და ანსამბლები.

როდესაც ამ ტიპის, ამ ყაიღის საკითხებზე საუბრობ და ეპოქების კულტურული სახის მემკვიდრეობითობის პროცესებს ეხები, უნებლიედ გიჩნდება სურვილი, რაც შეიძლება ღრმად ჩაიხედო წარსულში და ტრადიციათა ჩამოყალიბების ისტორიულ ლოგიკასაც, შეძლებისდაგვარად თვალი გაადევნო. მართლაცადა ხომ უნდა ვიცოდეთ „რანი ვიყავით“, „საიდან მოვიდვართ“ და „საით მივემართებით“, როგორც მთლიანად საზოგადოება, ისე ცალკეული ინდივიდები.

ისტორიული წყაროების მიხედვით, კოლხეთი ანუ იგივე კოლხა (ძვ. ქართული ისტორიული ტრადიციით-ეგრისი), დასავლეთ საქართველოს უდიდეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა. თავის დროზე იგი მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთს, სამეგრელოს, სვანეთს, ლეჩხუმს, რაჭას, იმერეთს, გურია-აჭარას, ასევე რუსეთის სოჭისა და ტუაფსეს მხარეებს, დღევანდელი თურქეთის რიზეს, ტრაპზონის, გირესუნის პროვინციებსა და ართვინის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს იყო შავი ზღვის („პონტოს ექსინუს“) სანაპიროს რკალის გაყოლებიდან დაწყებული და

დიდი კავკასიონის მთაგრეხილით გასრულებული ტერიტორია, რომლის საწყისიდან გაფანტული განშტოებები ესაზღვრებოდა სხვადასხვა წარმომავლობის ხალხით დასახლებულ

სომხეთს, ურარტუს, სარმატიას, სკვითიას, კიმერიასა და ა. შ.

სახელწოდება „კოლხეთი“ ყველაზე ადრე ბერძენი ავტორების ესქილესა და პინდარეს ჩანაწერებში ჩნდება. მანამდე მას აია-ს სახელით იცნობდნენ და ლეგენდარული აიეტის ქვეყანას ეძახდნენ. ალნიშნულ ტერიტორიებზე სხვადასხვა დროს თავის წონად სიტყვას ამბობდა რამდენიმე დიდი საქალაქო დასახლება. მათ შორისაა დიოსკურია (რომაელები მას სებასტოპოლისად იცნობდნენ, ამჟამად კი სოხუმი ეწოდება), სარაპანა (შორაპანი), ფაზისი (ფოთი), პიტიუნტი (ბიჭვინთა), აპსაროსი (გონიო), სურიუმი (ვანი), არქეოპოლისი (ნოქალაქევი) ქუთაია, კუტაია (ქუთაისი)...

კოლხეთის მოსახლეობა უაღრესად მრავალფეროვანი იყო. მის სხვადასხვა განშტოებებზე, დაბლობსა და ხევებში განფენილ იყო ერთმანეთის მონათესავე გვარ-ტომის ხალხი – თვით კოლხები, სანები (სვანები), ხალიბები, ტაოხები, ტიბარენები, სკვიმნები, ლაზები, ჭანები, ჰენიოხები და ა. შ. ალნიშნულ ხალხებს შორის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სუფევდა, მათ იცოდნენ ერთმანეთთან საურთიერთო საქმიანი ენები, იყო ალებ-მიცემობა, იარაღისა და სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების გაცვლა, ბუნებრივია იყო დაპირისპირებები, თუმცა ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კულტურული ტრადიციების გადადინება-გადმოღინებასა და ამით ურთიერთგამდიდრებას.

ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, რელიგიური წარმოდგენების თვალსაზრისით, კოლხეთის დიდ სამეფოში წამყვანი იყო კერპთაყვანისმცემლობა და, საერთოდ, ქართული წარმართული პან-



233 თეონისათვის დამახასიათებელი კულტურებისადმი მსახურების წესის შემცველი თეატრალიზებული სანახაობების გამართვა, ბუნების ცალკეული მოვლენებისადმი პატივგება.

კოლხეთის სამეფოს ხალხთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ზღვას; ლაზეთის რეგიონში განსახლებული ხალხი გამორჩეული ზღვაოსნები იყვნენ; კოლხეთის ქალაქებსა და აქ გაშლილ სავაჭრო ცენტრებს ხშირად სტუმრობდნენ

ამ ქვეყანაზე წერდა რომელიც ისტორიკოსი პლინიუს უმცროსი: საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობას ლაზიკის ვრცელ სამეფოში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობისათვის 80-მდე თარჯიმანი სჭირდებოდათო. ლაზიკას, ბუნებრივია, სატახტო ქალაქი გააჩნდა. ეს იყო არქეოპოლისი (დღევანდელი ნოქალაქევი გარკვეულ ეტაპზე ცხაკაიად ნოდებული რაიონის ფარგლებში), აქედან იმართებოდა უამრავი ციხე-ციტადელი, უპირველესად კი ყველაზე მნიშვნელოვანი პეტრას

კერძოდ არაბული სამყარო გამოდის. იწყება სასიცოცხლო სივრცეების ხელახალი გადანაწილება, რის მეოხებითაც, VII ს-ის დასაწყისისთვის, ლაზიკის პოლიტიკური ძალმოსილება დაღმავალ გზაზე დგება. ქვეყანა ორად იყოფა – სამხრეთ დასავლეთით რჩება ქართული ფუძის მქონე ჭან-ლაზები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ყალიბდება ასევე ქართული ფესვებიდან ამოზრდილი მეგრელები. მალე ერთსაც, მეორესაც, განსაკუთრებით უკანასკნელს, ქართლის სანახებთან შეერია

სამხუზაროდ უნდა ითქვას აღნიშნულ სივრცეებში მდგომარეობის სრულ დამშვიდებად და სასურველი კულტურული სივრცის აღდგენა – ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორია. უფრო მეტიც, თუ თანამედროვე მსოფლიო გეოპოლიტიკურ რეალობებს გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ დუღლის ტემპერატურა კვლავაც თვალნათლივ ასხივებს ანტიკურ სამყაროში, შუა საუკუნეებსა თუ ბოლო 2-3 საუკუნის წინ ჩამოყალიბებულ ტენდენციებს...



სწორედ ისინი განსაზღვრავენ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა თითოეული ხელოვანის, თითოეული აღმზრდელისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობის თავისებურებებს, მისი ცხოვრების წესს.

რაოდენ სასიამოვნო და მისასალმებელია ის ამბავი, რომ ბატონი ახმედი არაჩვეულებრივი ბუნებრივობით ჩაენერა ფოთის ქორეოკულტურულ რეალობაში.

აქ მოღვაწეობდნენ მისი ერთ-ერთი აღმზრდელ-პედაგოგი, შესანიშნავი ქორეოგრაფი შოთა ჩახავა და მისი ვაჟი მურთაზ ჩახავა.

საგულისხმოა, რომ ფოთში საქმიანობის დაწყებამდე მან ისტორიულ ქალაქ ვანს მიაშურა უფროს მეგობარ გრიგორ ტულუშთან თანამშრომლობისათვის.

ახმედ ამბალია მალე შოთა ჩახავას მიერ წამოწყებულ საქმიანობაში მიუტრიალდა და აგერ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია სათავეში უდგას ფოთში მოქმედ ანსამბლებს „ფაზისი“, „ნორჩი ფაზისელები“ და რაც მთავარია, მათი საფუძვლის ჩამყრელი ი. სუხიშვილის სახელობის მადლმოსილ ქორეოგრაფიულ სტუდიას.

ბატონ ახმედს შემოქმედებითი საქმიანობის შუადღე უდგას.



ბერძენი მეზღვაურები, რომელთაც შავი ზღვის პერიმეტრზე უამრავი დასახლებაც კი შექმნეს, რითაც საფუძველი დაედო პოლიეთნიკური სივრცეების ჩამოყალიბებას და კულტურული გავლენების ზრდას.

კაცობრიობის ისტორიამ თითქმის არ იცის შემთხვევა, რომ ციხე (დღევანდელ ციხისძირის ტერიტორიაზე).

ლაზიკის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა რომის იმპერიის დაშლა-დანგრევის შემდეგ. ქვეყანა შევიდა ახალ პოლიტიკურ რეალებში, როდესაც უაღრესად გამწვავდა სპარსეთისა და ბიზანტიის სახელმ-

არაბების მიერ შევიწროებული ქართულენოვანი მოსახლეობა, რომელთაც სრულად შეავსეს ჭოროხისა და რიონის აუზები, ხოლო შავი ზღვის გაყოლებაზე გადაჭიმული სივრცე ჭოროხის ხეობიდან ტრაპეზუნტამდე ბიზანტიის იმპერიის ხელში გადასულ ლაზეთად ჩამოყალიბდა.

გავიდა გარკვეული დრო და სამხედრო-პოლიტიკურ სივრცეში ახალი აქტორი – ოსმალეთი გამოჩნდა. მათ თავიანთი უღმრთებელი მმართველობის მეოხებით ბიზანტიასაც მოსულეს ბოლო და მისი გავლენის სფეროებისა თუ ტერიტორიების ათვისებასაც მოჰკიდეს ხელი. აღნიშნული პერიოდი ძალიან მძიმე გამოდგა მთელი ლაზეთ-ჭანეთ-სამეგრელოსათვის. ახალ იმპერიას ახალი იდეოლოგია, რელიგიური მსოფლხედვა და კულტურული ტრადიციები მოჰქონდა...



ისტორიულმა რეალობამ ასე იარა რამდენიმე საუკუნე და მდგომარეობა კვლავ შეტრიალდა.

1801 წლიდან ქართულენოვანი და მონათესავე კულტურული ტრადიციების მქონე ხალხთა ცხოვრებაში რუსეთის იმპერია გამოჩნდა. გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და დაიწყო შავი ზღვის სივრციდან, ასევე მთელი ლიხს გადაღმა – გადმოღმა არეალიდან ოსმალთა განდევნის პროცესი. ამ გზაზე უმთავრესი ნიშან-სვეტი გამოდგა რუსის ჯარის მიერ 1809 წელს ფოთის ციხის გათავისუფლება, ასევე 1810 წელს იმერეთის სამეფოს შემოერთება, 1829 წლიდან კი სამცხე-საათაბაგოს გათავისუფლებისათვის ზრუნვა. ეს პროცესი ლამის მთელი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა და საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ ლაზეთ-ჭანეთის მთიანი სივრცე (თანამედროვე აჭარის ერთი ნაწილის გაყოლებისა და ტრაპიზონის გარდა) თურქ-ოსმალთა გავლენისაგან გათავისუფლდა.

პართა სისხლითა და ოფლით ჩამოყალიბებული მსოფლხედვა, შეავსეს იგი ახალი ენერგიით და კვლავაც აგრძელებენ აღნიშნული გზით სვლას.

საგულისხმო და გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფოთში, ისევე როგორც მის მომიჯნავე რეგიონებში, არასოდეს გამჟღავნებულა დედა სამშობლოს ფუძიდან თუ ნიალიდან გარიდების ტენდენციები. რაც შეეხება ბოლო საუკუნეებსა და მის წინარე ხანას, ფოთი აღმოჩნდა საუკეთესო კულტურული სივრცის ჩამომყალიბებელთა და ფლაგმანთა შორის. ამის დასტურია ქალაქის არქიტექტურული იერ-სახე, თეატრალური, მუსიკალური, ლიტერატურული თუ ქორეოგრაფიული ტრადიციები.



სამეფო გაერთიანებაში ერთ რომელიმე ტომს, განსაკუთრებით მას, რომელსაც გაერთიანების შემკვრელის, ან კიდევ წარმოქმნელის ფუნქცია გააჩნია, გარკვეული უპირატესობა არ მოეპოვებინოს.

ნიფოთა შორის ურთიერთობები. სპარსეთი მაზდეანობის, ხოლო ბიზანტია ქრისტიანობის განვრცობა-დაკანონებისათვის იბრძოდა. იბერიაში ქრისტიანობის კანონიზაციის მერე (337 წლიდან), მთელს ქართულენოვან არეალს ლაზეთ-ჭანეთის ჩათვლით ძირითადად ბიზანტიელთა ძალაუფლება განაგებს, თუმცა თავის მნიშვნელობა-ღირებულებას ადგილობრივი წარმართობიდან და სპარსულ-მაზდეანური რელიგიიდან ნაკარნახევი ცხოვრების წესიც ინარჩუნებს.

კოლხეთის სამეფოში თავდაპირველად აღნიშნული ფუნქცია მანლარ-მეგრელებს დაკისრებულია, თუმცა ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს, როდესაც რეგიონში ძლევამოსილი რომის იმპერია გამოჩნდა, წინა პლანზე ლაზების გავლენა გამოსულა და, შესაბამისად, დამყრობლებმა ქვეყანას „ლაზიკა“ „ლაზიკი“ შეურჩიეს. აი, სწორედ

გადის გარკვეული დრო და ასპარეზზე სრულიად ახალი ძალა,





ქართული საცეკვაო ხელოვნება მრავალ გამოჩენილ და ღირსებით დაჯილდოებულ პიროვნებას იცნობს. მათ მხრებზე თაობების მიერ შექმნილი გამოცდილება და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში განუღებელი საქმიანობის ტვირთი, ასევე სიახლეთა დამკვიდრების უდიდესი პრაქტიკაა დაყრდნობილი.

ასეთ პიროვნებათა შორის გახლავთ ახმედ ამბალია, რომელიც თითქმის ოთხ ათეულ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება ეროვნულ საცეკვაო კულტურას. გვინდა გაგაცნოთ მცირე შტრიხები მისი ბიოგრაფიიდან.

ახმედ ამბალია დაიბადა 1951 წლის 2 აგვისტოს ხობის რაიონში. 1966 წელს დაამთავრა ფოთის მე-6 საშუალო სკოლა. ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში, ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნების საფუძვლებს დაეუფლა საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა ჩახავას ხელმძღვანელობით. 1972 წელს, სწავლა განაგრძო ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები გახლდნენ სახელოვანი ქორეოგრაფები რეზო ჭანიშვილი, თემურ ბიბილიძე და

ზაურ ლაზიშვილი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა ახმედი მუშაობას იწყებს ქობულეთის I საშუალო სკოლაში ქორეოგრაფად, პარალელურად, ბათუმის (ბარცხანის) მე-17 სკოლაში და ვანის კულტურის სახლში, თავის უფროს მეგობართან, გრილიონ ტულუშთან ერთად.

1977 წელს ქ.ფოთში ქორეოგრაფიული სტუდია იხსნება. შემოქმედებითად მოღონიერებული ახალგაზრდა მშობლიურ ქალაქს უბრუნდება და მუშაობას იწყებს ზემოთ აღნიშნულ სტუდიაში, რომლის დირექტორი შოთა ჩახავა გახლდათ. ეს სტუდია გახდა "მშობელი" ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ "ფაზისისა". შოთა ჩახავას გარდაცვალების შემდეგ სტუდია და ანსამბლი "ფაზისი" ერთ შენობაში გადავიდა. ასე რომ, სტუდია მთავარი დონორია ანსამბლების "ფაზისისა" და "ნორჩი ფაზისელებისა". თუმცა იყო მძიმე წლებიც, როცა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ანსამბლიცა და სტუდიაც დახურვის პირას მივიდა, მაგრამ ქალაქის მაშინდელ მესვეურთა დიდი დახმარებით, კვლავ შეძლეს ფეხზე დადგომა.



პარსკვლავოსანი ხელოვანი 65 წლისაა

1984 წელს, ბატონი ახმედი სამუშაოდ გადააყვანა ფოთის საქალაქო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად, სადაც ჩამოაყალიბა ქორ. ანსამბლი "ფაზისი", რომელიც მრავალი შიდა თუ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის ლაურეატი. ამავე წელს, შეიქმნა ქორ.ანსამბლი "ნორჩი ფაზისელები".

ბატონი ახმედი იმ ქორეოგრაფთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც საკუთარი ქორეოგრაფიული ენა, სტილი და ხელწერა გააჩნიათ. ფესტივალ-დათვალიერებებსა,

თუ კონკურსებზე მის მიერ დადგმული ცეკვები აშკარად გამოირჩევა თავისი ორიგინალურობითა და პროფესიული ხელწერით.

სახელოვან შემოქმედს ხშირად იწვევენ ფესტივალ-კონკურსების ფიურის წევრად. იგი აქტიურად ეხმიანება ქართული ქორეოგრაფიის

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ახმედ ამბალია 2006. დაჯილდოვდა "ღირსების ორდენით", 2013 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის "ზრუნველების ორდენითა" და 2015 წელს-საქართველოს ქორეოგრაფიის "რაინდის" წოდებ-



საჭირობოროტო საკითხებს. ერთხანს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ფოთის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. სასიამოვნოა, რომ დამსახურებული ქორეოგრაფი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში თუ მასტერკლასებში.

ბატონ ახმედს ჰყავს შესანიშნავი მეუღლე ნატალია ნუსხელიძე. მანაც ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა საგუნდო-სადირიჟორო განხრით. ეს ნიჭიერი ქალბატონი ცეკვის ანსამბლების სანაქებო აკომპანიატორია, რაც უიშვიათესი მოვლენაა ქორეოგრაფიულ ცხოვრებაში. ჰყავთ ორი ვაჟი და შვილიშვილები.

ით. საიუბილეო 65 წელს ახმედ ამბალიამ საამაყო ბიოგრაფია, ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა შეაგება. იგი კვლავ მზადაა ერთგულად იღვანოს ქართული ცეკვისათვის.

მისი ღვაწლის ყველაზე დიდი დაფასება ალბათ ის გახლავთ, რომ ამანლის 9 ივლისს, მშობლიურ ქალაქ ფოთში, საზეიმოდ იხსნება ბატონი ახმედის სახელობითი ვარსკვლავი, აღინიშნება 65 წლის იუბილე და ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდიის დაარსებიდან 40 წელი.

გაზეთი "საქართველოს ქორეოგრაფია" ულოცავს ახმედ ამბალიას ამ ღირსებასთან დაკავშირებით, უსურვებს დღევანდელ და წინსვლას პირად და კარიერულ ცხოვრებაში.

ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდიის შექმნის სათავეებთან



ფოთში, ჯერ კიდევ XX საუკუნის I მეოთხედში, სახელოვანი ილიკო სუხიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც დიდძალი მოხალისე და მსურველი მიაწყდა. საქმე პირველად თითქოს კარგად აენწყო. ახალგაზრდა ხე-

ლმძღვანელის დიდი მონდომება და ენთუზიაზმი უკვე იძლეოდა წარმატების იმედს, მაგრამ უსახსრობის გამო სტუდიამ არსებობა შეწყვიტა. ცეკვის ჯადოქარი ილიკო სუხიშვილი თბილისში დაბრუნდა. გავიდა წლები და იგი კვლავ გამოვიდა

ფოთში ქორეოგრაფიული სტუდიის აღდგენის ინიციატორად. 1977 წელს, სტუდიის პირველი დირექტორის შოთა ჩახავას ძალისხმევით და ქალაქის იმდროინდელი ხელმძღვანელების მხარდაჭერით, ეს იდეა განხორციელდა კიდევ. სტუდიას ბინა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფოთის ფილიალის შენობაში მიუჩინეს.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი დაინტერესებულნი იყვნენ ფოთის ქორ. სტუდიის მუშაობით და ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ მას.

სტუდიაში საკონსულტაციოდ ჩამოდიოდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები. გაკვეთილებს ატარებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი კონსტანტინე მანჯ-

გალაძე და საცირკო ხელოვნების ქორეოგრაფიული -სასწავლებლის უფროსი მასწავლებელი მურთაზ ჩახავა.

ამ პერიოდისათვის, სტუდიაში ქორეოგრაფად იწყებს მუშაობას ახალგაზრდა და პერსპექტიული ქორეოგრაფი ახმედ ამბალია. შოთა ჩახავას გარდაცვალების შემდეგ დაწყებული საქმე ბატონმა ახმედამ გააგრძელა. სულ მოკლე ხანში, მისი თაოსნობით,



ზემოთ აღნიშნული სტუდიის ბაზაზე იქმნება ქორეოგრაფიული ანსამბლები "ფაზისი" და "ნორჩი ფაზისელები".

2001 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული კავშირის გადამწყვეტილებით სტუდიას მიენიჭა ილიკო სუხიშვილის სახელი.

2017 წელი უმნიშვნელოვანესია სტუდიისა და მისი ხელმძღვანელისთვის. სტუდიას დაარსებიდან 40, ხოლო ბატონ ახმედს დაბადებიდან 65 წელი უსრულდება.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი და გაზეთი "საქართველოს ქორეოგრაფია" გულითადად ულოცავს ბატონ ახმედსა და სტუდიის მთელ კოლექტივს ამ უმნიშვნელოვანეს თარიღებს. უსურვებს მათ წარმატებებს, ახალ-ახალ გამარჯვებებს და წინსვლას პირად თუ კარიერულ ცხოვრებაში.

ახმედ ამბალია 65 წლისაა

ახმედ ამბალიას საიუბილეო

ახმედ ამბალია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის იმ ღირსეულ წევრთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც თავისი მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტით, მუხლჩაუხრელი შრომითა და პედაგოგიურ-შემოქმედებითი აქტივობით ხელს უწყობს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების შენახვა-გადარჩენისა და მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდა-დაკვალიანების საქმეს.

მე, როგორც პროფესიონალსა და პედაგოგს, განსაკუთრებული დამოკიდებულება

მაკავშირებს ბატონ ახმედთან. იგი ბათუმის კულტურა-მანათლებლო სასწავლებელში სხვა პედაგოგების ლექცია - პრაქტიკულების გვერდით ჩემს მიერ ჩატარებულ მეცადინეობებსაც აქტიურად ესწრებოდა. აჭარის ტრადიციულად მდიდარ და მრავალფეროვან საგანმანათლებლო სივრცეში, ახალგაზრდა ახმედმა ბევრი რამ სასიკეთო შეისწავლა, მერე ეს ყველაფერი პრაქტიკით გაამდიდრა და თავის პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატებითაც გამოიყენა. აღნიშნული პროცესი გრძელდება დღესაც,

კერძოდ: ახმედ ამბალია აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით მოწყობილ და საერთაშორისო დონის ფესტივალ-კონკურსებში, ტრენინგ-სემინარებსა და სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებში. დარწმუნებული ვართ ეს აქტივობები კვლავაც გაგრძელდება და ახალ-ახალი წარმატებების საფუძველი გახდება.

რეზო ჭანიშვილი,
საქართველოს ქორეოგრაფთა
კავშირის თავმჯდომარე,
პროფესორი

ბარბად ბახარაშვილი სისოხელს

სახელოვანი ქორეოგრაფი ახმედ ამბალია 65 წლისაა, იგი კეთილსინდისიერად, გულისწინაობით იღვწის ქართულ ქორეოგრაფიაში, რითაც თავისი „კვალი განახლებული“ მოჭფინა ეროვნულ საცეკვაო ხელოვნებას.

კარგად მახსოვს მისი ინდივიდუალური შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი, ფერადოვანი დადგმები, როდესაც იგი მაყურებლის წინაშე ქმნიდა ტემპერამენტით სავსე მომხიბვლელობას. მან მოუღწია იმუშავა სხვადასხვა ანსამბლში, ყველგან დატოვა მეტად ნიჭიერი შემოქმედის სახელი.

უნდა ითქვას, რომ ადრეულ წლებში იღვწოდა ფოთის ცეკვის ანსამბლში „ნატურისთვალ“... მუშაობდა ქობულეთის პირველ სკოლაში, სადაც შექმნა არაერთი ქორეოგრაფიული ნაწარმოები... ასევე ცეკვავდა ვანის რაიონის კულტურის სახლში, ჩინებულად ასრულებდა აჭარულ, სვანურ, მთიულურ ცეკვებს.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში განვლო სასწავლო-შემოქმედებითი წვრთნა. მისი პედაგოგი-ქორეოგრაფი იყო დიდი ხელოვანი, ღირსეული რეზო ჭანიშვილი.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ვინ არის ნიჭიერი მწერალი? ვის დაერქმის ღირსეულად ეს სახელი? ამ საცოდნელ კითხვებს მგოსანი თვითონვე ეპასუხება, მწერალს უპირველეს ყოვლისა საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან „ენა“ სახეა მწერლისა.“

ამ ნააზრვის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახმედ ამბალია იმ ქორეოგრაფთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც საკუთარი „ენა“, სტილი, ხელწერა გააჩნია. მის მიერ დამუშავებული საცეკვაო კომპოზიციები ლაპიდარულია და ფორმა-შინაარსით დამაჯერებელი, რაც მოს-

წონს მაყურებელს. ყოველივე ამაში გვარწმუნებს ანსამბლ „ფაზისის“ ხელოვნება. ყველაფერი ქ. ფოთში, 1977 წელს ილ. სუხიშვილის სახელობის სტუდიის შექმნით დაიწყო. ამის მერე 1984 წელს შეუერთდა „ფაზისი“ ქართულ ქორეოგრაფიას. ბატონი ახმედი დიდხანს იყო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი... თვალს რომ ენატრება, იმგვარი კომპოზიციებით დაამშვენა „ფაზისი“.

დათვალეობებსა და კონკურსებზე ყოველთვის გამოიჩინებდა ფაზისისებური ცეკვების სიკობტავე, მეტადრე თავს გვახსენებენ „მეგრული სიუიტი“ „მთიელ ქალთა ცეკვა“, აჭარული „გადაგან“, ლაზური შრომის, მეტადურული და სხვა.

ახმედ ამბალია სიახლის მაძიებელი ხელოვანია. მის ცეკვებში ერთნაირად არის ჩაქსოვილი საუკუნეებში გამოტარებული სასცენო მონაპოვარი, ახლებურად ინტერპრეტირებული საცეკვაოები. ამის დასაბუთებაა ურთულეს კონკურსებში მოპოვებული უმაღლესი ჯილდოები, სახელდებული პრიზები, საერთაშორისო და ეროვნული ლაურეატობა, დაჯილდოებულია საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალეების“, საქართველოს ქორეოგრაფიის „რაინდის“ ორდენებით, არის „ღირსების“ ორდენის კავალერი.

ნახევარ საუკუნეზე მეტია ახმედ ამბალია ქართული ცეკვის სამსახურშია. არაერთი თაობა გამოანართო და დააკვალიანა. უდავოდ, სამვილიშვილოდ იღვანა, კიდევაც დაიმკვიდრა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ისევაც მზადაა გაიხარჯოს ქართული ცეკვისთვის, კარგად გახარჯული სიცოცხლე კი დღეგრძელი სიცოცხლეა.

ზაურ ლაზიშვილი

ბატონი ახმედ ამბალია ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოცეკვავე და ქორეოგრაფია. მან აღზარდა უამრავი ღირსეული მოცეკვავე და ბევრ ადამიანს გაუკვალა გზა წარმატებისკენ. მე ვამაყობ, რომ მისი მოწაფე ვიყავი. მას ძალიან დიდი შრომა აქვს ჩადებული თითოეულ ჩვენთაგანში. მისმა დაუღალავმა შრომამ და მზრუნველობამ დაგვაცენა ცხოვრების ღირსეულ გზაზე. მან მართლაც შექმნა ეპოქა და მისი შემოქმედება ოქროს ასოებით ჩაინერება

საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. ბატონ ახმედს მინდა ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და მხნეობა, რომ ეს საშვილიშვილო საქმე თაობიდან თაობას კვლავ ღირსეულად გადასცეს.

დავით სარსანია,
ქ. ფოთის ყოფილი მერი,
სამეგრელო-ზემო სვანეთის
გუბერნატორის მოადგილე

ახალ ახალი, „წარსულთან“ ხელახლა

2002-2003 წლებში გახლდით ქ.ფოთის მერი. პირველსავე საქმიან თათბირზე, როდესაც ქალაქის ხელმძღვანელი ვალდებულია გაეცნოს სხვადასხვა სტრუქტურის მმართველ წარმომადგენლობას და პასუხისმგებელ პირებს, გავიცანი ბატონ ახმედ ამბალიას და თითქმის იმ წუთიდანვე დავმეგობრდით კიდევ. ამას მართკო პირადი სიმპათია არ განაპირობებდა. მე ბავშვობიდანვე ქართული ცეკვით ვიყავი გატაცებული, ახმედი კი პროფესიონალი ქორეოგრაფი იყო, არის და მჯერა რომ კიდევ დიდხანს იქნება. ამ დღიდან დავმეგობრდით და დღემდე ისე არ გავა დრო, რომ რაღაც გარკვეულ მონაკვეთში ერთმანეთს ტელეფონით მაინც არ შევეხმიანოთ.

ბატონი ახმედის ყოველდღიური შრომით ფორმაციული ანსამბლი „ფაზისი“ მერის თანამდებობაზე ჩემი საქმიანობის დროს არაერთხელ გამეგზავრა სხვადასხვა საფესტივალო ღონისძიებაზე, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ყველგან წარმატებას მიაღწია. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება.

ჩვენ თვითონ, ბატონი ახმედის აქტიური მონაწილეობით,

ფოთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების არა ერთი ფესტივალი გაგმართეთ. არასოდეს დამაინცყდება, რომ ერთ-ერთ ასეთ დამაგვირგვინებელ ფესტივალზე ტკბილად და თბილად გასახსენებელმა თენგიზ სუხიშვილმა ცეკვა „სიმდის“ ერთი დიდებული ნაწყვეტი შეასრულა, მერე კი დასასრულისაკენ მე და ახმედმა საძმო ქართულით გაუღენთილი იღეთები ვახლეთ მაყურებელს.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი ძვირფასი საძმოს ღირსეული წევრი ახმედ ამბალია მიღწეულს არ დასჯერდება. იგი კვლავაც ჩვეული ენერგიით გააგრძელებს თავის პროფესიულ საქმიანობას და ახალ-ახალი წარმატებებით გაგვახარებს.

ვულოცავ ბატონ ახმედს დაბადების 65-ე წლისთავს, ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, ოჯახურ და პედაგოგიურ ბედნიერებას.

ჩემო ახმედ, ამიერიდან „ვარსკვლავოსანი“ ხელოვანი ხარ. ეს ერთი და სხვა მრავალი, იცოცხლე და იბედნიერე! შეჩერება არ შეიძლება, წინ კიდევ ბევრი საქმე და საკეთებელი!

დავით ქანთარია,
ქ. ფოთის ყოფილი მერი

მეგობრსა და მსწავლეს...

თუ მართლა ხანძრის ნახვა გენებოთ, უნდა იხილოთ ცეკვა ქართული...

უთქვამს ქართულ ცეკვაზე პოეტს და მართლაც ქართული ცეკვა ყველაფერია, ხანძარიც, სიხარულიც, ტკივილიც, სევდაც და სიყვარულიც, რომელიც მთელი ცხოვრება თან გაყვება.

მადლობა ღმერთს, რომ შემახვედრა ისეთ ქორეოგრაფს, როგორც ახმედ ამბალიაა. სწორედ აღნიშნულმა შეხვედრამ განაპირობა ქორეოგრაფად ჩემი ჩამოყალიბება, განსაზღვრა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების გზა დღემდე. არასოდეს დამაინცყდება ბატონი ახმედის მამაშვილური სითბო და საინტერესო სააღმზრდელო გაკეთილები. მადლობა მას ყოველივე ამისათვის!

წლებიდანელ ზაფხულს ჩემთვის სხვადასხვა დატვირთვა აქვს: „კოლხურ-ლაზური ფესტივალი“, ილიკო სუხიშვილის სახელობის სტუდიის მე-40-ე წელი და ჩემი პედაგოგის, მეგობრის, ძირისა და ლხინის გამზიარებლის, ახმედ ამბალიას დაბადებიდან 65-ე წელი.

დაუვინყარია ანსამბლ „ფაზისში“ გატარებული წლები, მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებში. მოცეკვავე კაცი ხომ სულით ლამაზია, უბოროტო. ბატონო ახ-

მედ, თქვენ განსაზღვრეთ ჩემი დამოუკიდებელ ქორეოგრაფად ჩამოყალიბება, მუნიციპალურ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფაზისის“ მთ. ქორეოგრაფობა და რაც მთავარია, თქვენ ძალ-ღონე არ დაიშურეთ, რომ თქვენს შემდეგ მეხელმძღვანელა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ფოთის ორგანიზაციისათვის.

გამორჩეულია ახმედ ამბალია, როგორც ორგანიზატორი. მას ხელოვნებით შეკრული კოლექტივი ჰყავს და შემოქმედებითი ძიების პროცესში მათ სრულ თავისუფლებას აძლევს, რაც მუშაობის ხარისხსაც განსაზღვრავს.

ვულოცავ იუბილეს ქორეოგრაფიული სტუდიის ქორეოგრაფებსა და მათ აღსაზრდელებს, ანსამბლ „ფაზისის“ მოცეკვავეებს.

ბატონი ახმედის მეუღლეს ქალბატონ ნატალია ნუსხელიძეს, შვილებს კობასა და კახა ამბალიებს და შვილიშვილებს, მოცეკვავეებს ნატასა და საბას, მთელ საოჯახო ღონისძიებას, ერთიანად გადავებულს ქართულ ცეკვაზე.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გიგლა თურქია**

ილიკო სუსიუვილის სახელობის სტუდია



მთ. ქორეოგრაფი
დევნი სილოვაძე



რეპეტიტორი მონიკა
დვინჯილია



სტუდიის დირექტორი და
სამხატვრო ხელმძღვანელი
ახმედ აგბალია



ქორეოგრაფი კობა
აგბალია



ქორეოგრაფი მარინა
გახვაძე



აბაკელია მათე



აგბალია თიკო



ანდრია მესხი



ბაბილუა გარბარა



ბაბათელია ნინო



ბარკალაია ნინო



ბაკაძე ლუკა



ბერია ვერონიკა



ბოჯგუა სევერინი



ბუღაძე ანი



ბუკია ნიკა



ბვასალია დარი



ბვასალია ირაკლი



ბვასალია ლუკა



ბვასალია ნიკა



ბვირია ლიზი



ბვირია ცოტნე



ბოგოლი ანი



ბუგუშვილი გაბრიელი



დანელია ეტი



ვეკუა გვანცა



ზაზაქე მარიაში



ზურიკო კუკულავა



კვანტალიანი გიორგი



კვარაცხელია ლუკა



კვირკვანია ქრისტინე



კობახიძე მიხეილ



კორძაძე თამარი



კუკავა ლუკა



კუპრაძე ანა



კუცია ელენე



ლემოჯავა ანამარი



მაკალათია ანა



მაშვა ლიზი



მელქაძე მარია



მიმინოშვილი ლევანი



ნიკიფოროვი სანდრო



პაჭკორია ანა



რუბანოვი სება




სალუქვაძე მარია



სანიკიძე თეკლა



ტყემალაძე მარია



ურუშაძე რატი



ფარულავა ანა



ქილიფთარი გიგი



ქირია სესილი



ქუთათელაძე ნინო



ლაჭავა ამირანი



ყალიჩავა მარია



შენგელია ნინო



ჩავლეშვილი ნინო



ჩიტაია გიორგი



ჩხეიძე ლიზი



ცომაია ლიზი



წირღვაძე დავითი



ხელიძე თაზო



ხუნდარია ნინო



ჯიქია მები



ჯოჯუა ანა

ბმათ ახმედ, მაგსალმუმათ თქუნი უმცბბის ბმა !

ახმედ ამბალია 65 წლის გამბ-დარა. მე და ჩემი თაობის ქორეოგრაფებს დღემდე გვეგონა, რომ ეს ღირსეული პიროვნება, მრავალი თაობის აღმზრდელი ადამიანი, ჩვენი ტოლი, ჩვენი სამეგობროს შეხედულებების მატარებელი კაცი იყო.

სიმართლეს თუ ვიტყვით, არც ვცდებოდით, რადგან ბა-

ტონი ახმედი უფროსი თაობის ქორეოგრაფთა დიდი პატივისმცემელი და ახალგაზრდობის სიყვარულით გაჟღენთილი პიროვნებაა. ერთ სიამოვნებად ღირს მასთან ურთიერთობა, მისი საუბრების მოსმენა და რაღა თქმა უნდა, ტრადიციულ ქართულ სუფრაზე მისი თანამეინახეობა.

ვულოცავთ ბატონ ახმედს დაბადების 65-ე წლისთავს; ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს და წარმატებებს.

კახაპარ მარკოიშვილი,
საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძობით ვესალმები ახმედ ამბალიას, გამოჩენილ პედაგოგ-ქორეოგრაფსა და მრავალი თაობის აღმზრდელს.

რა დრო გასულა! დამდგარა უამი პროფესიული საქმიანობით თავის მოწონებისა და მიღწეული წარმატებებით საზოგადოების წინაშე წარდგომისა. ეს პროცესი ცალმხრივი როდია,

საზოგადოება, ქვეყანა, კარგად ხედავს ვინ რისი გამკეთებელია და ვის უდგას დრო „ვარსკვლავოსნობისა“.

გილოცავ, ჩემო ძვირფასო ახმედ!

ნუზუარ ნაღარაია,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი

ახმედ ამბალია იყბილყარია

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მდიდარი წარსული, მისი დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები ყველა იმ ადამიანის საქმიანობას უკავშირდება, ვინც აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობდა და დღესაც აქტიურად საქმიანობს.

ასეთთა რიგებში ერთ-ერთი წარმატებული პიროვნებაა ბატონი ახმედ ამბალია. მის მიერ აღზრდილი თაობები დღეს უკვე დამოუკიდებლად მიჰყვებიან მასწავლებლის მიერ ნაანდერძე გზას და შესაბამისი პასუხისმგებლობით უძღვებიან

მოზარდი თაობის პროფესიულ-ქორეოგრაფიული მომზადების საქმეს.

ვუსურვოთ ბატონ ახმედს, ჯანის სიმრთელე და ახალ-ახალი შემოქმედებითი მიღწევები.

ზაზა მჟავანაძე,
ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი

ახმედ ამბალიას საიუბილეო!

რაც თავი მახსოვს, სულ შრომა-გარჯასა და საქვეყნო საქმეების კეთების, ჩემეული გაგებით, დადებით პროცესში ვარ ჩაბმული. ბუნებრივია, ვაკეთებ იმას, რისი შესაძლებლობაც არსებობს. განსაკუთრებით მესახლება და მიყვარს ნიჭიერი, საქმიანი ხალხისათვის ხელის წაშველება. ეს არც სატრახბოა და არც განსაკუთრებით თავის მოსაწონებელი. მჯერა, რომ ყოველი ღირსეული პიროვნება სწორედ ასე უნდა იქცეოდეს.

როდესაც მე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ვწეოდი, ახმედ ამბალია დამწყობი პედაგოგ-ქორეოგრაფი

იყო. არასოდეს გამომპარვია და არც დამიგვიანია მისთვის ხელის შეშველება.

ბედნიერი ვარ, რომ ამგვარი აქტივობითა და დიდი ადამიანური ნიჭიერების გამო, ჩემთვის ძვირფასი ახალგაზრდა მეგობარი, ბატონი ახმედი ბევრად სრულყოფილი, ბევრად დახვეწილი პროფესიონალი გახდა.

აგერ საიუბილეო და ვარსკვლავოსნობის ეტაპიც დამდგარა.

გილოცავ, ჩემო ძვირფასო ახმედ პირადად შენ, შენს ძვირფას ოჯახსა და აღზრდილთა უზარმაზარ არმიას, ამ ლამაზ დღესასწაულს.

გაპურ გულუა
საქართველოს საპატრიარქოს განვითარების ფონდის ხელმძღვანელი

ყოველი ღირსეული ადამიანისთვის, მით უფრო დაძაბული პროფესიული საქმიანობით დაკავებული პიროვნებისთვის ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე დადგება მომენტი, როდესაც ირკვევა, რომ უკვე საჭიროა დროებით შეჩერება და უკან მოხედვა ყოველივე იმის გასაზრებლად, თუ დღემდე რისი გაკეთება მოასწრო და ამიერიდან რა გზით უნდა იარო.

ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და შემოქმედის, ახმედ ამბალია ცხოვრებაში ახლა სწორედ ეს ეტაპი დგას. 65 წელი ჭეშმარიტი ხელოვნისთვის ცხოვრების შუადღეა.

ვულოცავთ მას ამ ლამაზ დღეს და ვუსურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

იური ტორაძე
საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

ქაო ახაი!

მოგსალმებიან შენი ერთგული ძმები კახეთიდან. წლების სიმრავლე ჩვენს ძმობას ვერაფერს აკლებს, პირიქით - ჩამოყალიბებული ტრადიციის სიმტკიცე დღითიდღე ძლიერდება. ეს ყველაფერი კი იმიტომ გამოწვეულია, რომ ჩვენ ყველანი ერთ საერთო და მნიშვნელოვან საქმეს ვემსახურებით. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება და საბავშვო შემოქმედება, ასევე მოზარდთა მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდის სისტემაში მისი გამოყენების პედა-

გოგიური პრობლემები არის სწორედ ჩვენი საერთო საზრუნავი და ფიქრის საგანი.

სწორედ ამ სარბიელზე წარმატებებით დახუნძლულს წამოგწვია 65-ე საიუბილეო წელი, რომელსაც ქართული კულტურის დღევანდელ მესვეურთა გადწყვეტილებით, ამიერიდან სახელობითი ვარსკვლავი დაამშვენებს.

გილოცავთ ძვირფასო კოლეგავ ამ ბედნიერ დღეს და გვჯერა, რომ ახალ-ახალი წარმატებებით გაგვახარებ.

მისეილ ჯიდალიშვილი,
ანზორ სულხანიშვილი
თელავი



საქართველოს ქორეოგრაფია
ISSN 2346-8041
მის: თბილისი, ც. დადიანის ქ. №26
ტელ.: 599 90 75 65
- საქართველოს ქორეოგრაფია;
www.qor.ge

სარედაქციო საბჭო:
რეზო ბალანჩივაძე
რეზო ჭანიშვილი,
იური ტორაძე,
თენგიზ უთმელიძე,
უჩა დვალისძე,
ზაურ ლაზიშვილი,
მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციისთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:
ოლეგ ალავიძე
პასუხისმგებელი მდივანი:
მანანა უშიკიშვილი
თანადამფინანსებელი –
ქართული ქორეოგრაფიის
ეროვნული ცენტრი:
ზაზა მჟავანაძე